№ 60 შაბათი, 7 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 60 შაბათი, 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**ხ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს.—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფ უ ლ ი ს გ ა მ ო ს ა გ ზ ა ვ ნ ი ა დ რ ე ს ი:**

Тифлисъ, тип. „Шрома", **Калистрату Конст. Цуладзе.**

წარმოდგენა 14. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 14.

**იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა**

**კვირას, 6 ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეჯერ ახალი პიესა ჰეერმონსისა.

I

**სამედის დაღუპვა**

დრ. 4 მოქ. თარ. დ. მესხისა.

II

**პირველათ ახალი კომედია**

**მ ო ფ უ რ ჩ ხ უ ლ ი ა**

1 მოქ. დ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ. 3 მ.-დე, პარტერი 1 მ. 50 კ.-დე, 50 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 30 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „ახალი მოძღვრება", «პარტიის კაცი?!», «სამეგრელოს მთავარი ლევან».

მორიგი რეჟისორი **ქ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

გაზეთ „მომავალის" 1 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ **ილარიონ ა—ძე საბახტარაშვილის** განცხადებისა გამო კიდევ ერთხელ და საბოლოოთ **იძულებული** ვარ ვაუწყო საზოგადოებას, რომ ჩემი **განცხადება** სუმბათოვის ქარხნის შესახებ

**არც შეთხზული ყოფილა და არც „ვაჭრული"**

ვინაიდან ქარხნის გადაწვის შემდეგ შეკითხვა მივიღე, როგორც სიტყვიერი ისე წერილობით ქვევით მოყვანილ დაწესებულებათაგან და პირებთაგან

1) ვოლგა-კამის თფილისის განყოფილების გამგესაგან.
2) ამიერ-კავკასიის სახაზინო რკინის გზის გამგეობისაგან.
3) თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორისაგან.
4) სამზღვევი საზოგადოების „როსსია"-ს თფილისის განყოფილების გამგის თანაშემწისაგან.
5) ჩემი მსხვილი კლიენტების ს. ი. ისაკოვისაგან და ძმ. ჩახმახჩევებისაგან.
6) აგრეთვე ქ.ქ. ერევნის, ალექსანდროპოლის და ყარსის კლიენტებისაგან.

1—1 **გიორგი ალექსანდრესძე საბახტარაშვილი**

**თფილისის კერძო სამკურნალო**

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**ბურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—30)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

**ვოგზლის კერძო სამკურნალო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—30)

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს gala წარმოდგენა პირველათ: „**გუგენოტები**" მუსიკალური დადგმა მიკლაშევსკისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: რდი, ვიკშემსკაია, დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა, ზასლავსკაია; ბ-ნნი: ბორისენკო, გალეცკი, დემიანენკო, ევლახოვი, მაჩალოვი, ობრუმოვი, პევცოვი, ევლახოვი, ხმელევი. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ფასები საბენეფისო. ხვალ დილით დაკლებულ ფასებში 20 კ.-დან **«ჰენზელ და გრეტელ»**, საღამოს **«მხიარული ქვრივი»**. ორშაბათს ხელმისაწდომ ფასებში **«კარმენი»**. მზადდება წარმოსადგენათ **«კორნევილის ზარები»**.

**ჭიათურაში**

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ"-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ"-ში დასაბეჭდათ. (10—2)

съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

**НАШЪ КРАЙ**

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литературныя силы, такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

**подписная цѣна:** Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

**კბილის ექიმი**

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

**ავტომობილები**

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—4)

**ბათუმში**

**გაზეთ „მომავალ"-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

**გიორგი მახარაძესთან.**

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ"-ში დასაბეჭდათ.**

(10—2)

Открыта подписка на новую ежедневную Газету на русс. яз.

**„НОВАЯ РѢЧЬ"**

**Отдѣльный № 3 коп.**

За мѣсяцъ подписная плата 50 коп.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЪ съ 5 НОЯБРЯ

Адресъ: Тифлисъ Ред. газ. „Новая Рѣчь" Дворцовая, домъ груз. дворянства.

Ред.-изд. **П. А. Готуа.**

**გამოცდილი მასწავლებელი.**

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის" რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—21)

**კბილის ექიმი**

**ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე**

დილით მიიღებს ავათმყოფებს 11 საათიდან 2 საათამდის. ვოგზლის ლეჩებნიცაში 9 საათიდან 11 საათამდის.

**გავათავე** გიმნაზია და საბუღალტერო კურსები, მაქვს 5 წლის საკანტორო პრაქტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. შემიძლია ღამწერ მაშინაზე მუშაობა.

**ოსიპოვის ტუპიკი, სახ. № 16, ბინა 1 მე-9 ნაწილში.** 0—10

## პრესა

თფილისში კიდევ გამოვიდა ერთი ახალი რუსული გაზეთი „ნოვაია რეჩი", ბ. პ. გოთუას რედაქტორობით. გაზეთი გვატყობინებს, რომ მიმართულებაზე წინ და წინ ლაპარაკი ზედმეტია, მიმართულებას ჩვენი გაზეთის ყოველი წერილი, ყოველი სტრიქონი გამოარკვევსო.

წავიკითხეთ ეს წერილები და გავიგეთ, რომ გაზეთი „ნ. რეჩი" თავის მოღვაწეობის თავ და თავ მიზნათ ადგილობრივი რეფორმების შემოღების პირუთვნელ სამსახურს ისახავს.

«მართალია, ეს მიზანი მეტათ უმნიშვნელოა შედარებით იმ მსოფლიო პრობლემებთან, რომელიც წამოაყენა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მაგრამ მაინც ღირსია, რომ მასზე შევაჩეროთ მთელი კავკასიის ინტელიგენციის ყურადღება,"

ასე რომ, თუ „ნ. რეჩს" დაუჯერეთ, მსოფლიო პრობლემებზე ხელი უნდა აიღოს კავკასიის ინტელიგენციამ და თავის სამოქმედო ასპარეზი მარტო კავკასიის რეფორმებით განსაზღვროს. თუ რა დამოკიდებულება არის ამ ადგილობრივ რეფორმებსა და იმ მსოფლიო პრობლემას შორის, რომელიც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წამოაყენა—ამის შესახებ გაზეთი არაფერს გვეუბნება.

ს მაგიეროთ იმავე პირველ ნომერში, ბ. გვაზავა ერთ ახალ ამბავს გვატყობინებს.

ბ. გვაზავამ, როგორც ვიცით, საგუბერნიო საერობო თათბირზე ერობაში ქალების მიერ პირადათ მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ მისცა ხმა. ახლა ბ. გვაზავა გვატყობინებს, რომ მე იმიტომ მივეცი ხმა წინააღმდეგ, რომ ამით ქალთა უფლებას ვიცავდიო! ეხლა ქალებმა პირადათ უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენში კი ისეთი გზებია, რომ ქალები ვერც კი შესძლებენ სამაზრო ერობის არჩევნებზე წასვლას და ამ რიგათ მათ უფლებაც ეკარგებათო. იმ შეხედულების თანხმათ კი, რომელსაც მე ვიცავდი:

„ქალებს შეეძლოთ ესარგებლათ თავისი საარჩევნო უფლებით სახლიდან გარეთ გამოუსვლელათაც. ამას მიუმატეთ კიდევ ჩვენი ქალების საერთო მდგომარეობა: მათი მომზადება პოლიტიკური ცხოვრებისათვის და თქვენ დარწმუნდებით, თუ სანამდის მივა ქალების აბსენტიზმი სოფლებში. ასე რომ, ქალების უფლების დაცვას შედეგათ მათი უფლების შეკვეცა მოჰყვება."

თურმე სახლში ჯდომა და სხვებისათვის თავისი უფლების გადაცემა—ეს უფრო ფართო საარჩევნო უფლებაა, ვინემ არჩევნებში პირადათ მონაწილეობის მიღება. ასე ესმის ბ. გვაზავას საარჩევნო უფლება!

* * *

«ზაკავკაზიე» ჩვეულებრივათ „სახარებას უკითხავს" მსხვილ და წვრილ მწარმოებლებს, აგრეთვე ადმინისტრაციას, რომ მუშათა პროფესიონალური კავშირები სასარგებლო დაწესებულებებია და მათ განვითარებას ხელს ნუ შეუშლითო. ის სწერს:

„მუშათა პროფესიონალური საზოგადოებების გაზრდა-განვითარებაში ყველაზე უფრო დაინტერესებული უნდა იყონ მსხვილი მწარმოებლები, რომლებისთვისაც არ არის სასარგებლო ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ და დისციპლინას შეუჩვეველ მუშებთან საქმის დაჭერა. წვრილმა მწარმოებლებმაც უნდა შეიგნონ, რომ გაუწვრთნელი, საკუთარი ინტერესების შეგნებას მოკლებული მუშები მათ სარგებლობას არ მოუტანენ. ადმინისტრაციამაც არ უნდა დაივიწყოს, რომ პროფესიონალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ხელის შეწყობა არავისთვის საშიშარი არ არის. და თუ მოძრაობის დროს სხვებთან ერთათ პროფესიონალური კავშირებიც ერეოდენ პოლიტიკურ ბრძოლაში, ეხლა, როცა ცხოვრება უკვე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, არავითარი საბუთი არ უნდა იყოს ისეთ საზოგადოებათა წინააღმდეგ, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან".

ყველა ეს კარგია, მარა, სამწუხაროთ, „ზაკავკაზიემ" ჯერჯერობით მაინც ვერ შეიგნო ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ „მგლის თავზე სახარების კითხვა არ მოქმედობს".

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ნოემბერი.

**სპარსეთი.**

**თეირანი.** მეჯლისი შეუდგა დეპუტატთა რწმუნებების შემოწმებას. ვიცე-თავმჯდომარეებათ აირჩიეს ხუსეინ (?) კული ხან—ნაგაბი და მუსტეშარუდ—დოულე სამინისტრო გადადგა.

**საზღვარ-გარეთ**

**მიუნხენი.** ზედა პალატამ ერთხმათ მიიღო ქვედა პალატის წინადადება რუსეთისათვის დამნაშავეთა გადაცემის უარყოფის შესახებ. მომხსენებელმა ფონ-აუერმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ნუ მივიღებთ, ვინაიდან ეს არ შედის პალატის უფლებაშიო; ამას გარდა, დამნაშავეთა გაცემას არავითარი მატერიალური საფუძველი არ აქვსო და ჩვენი ასეთი საქციელი რუსეთის მიმართ ზრდილობიან მოპყრობათ არ ჩაგვეთვლებაო. ხელშეკრულობის დადებიდან 23 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი დამნაშავე გავეცით, რომელსაც მკვლელობა ედებოდა ბრალათ. დამნაშავეთა გაცემა, ეჭვი არაა, ბავარიას იხსნიდა გამოქცეულ რევოლიუციონერ-ანარქისტისაგან, რომლებიც ამის შემდეგ თავშესაფარს აქ ჰპოვებენო. ზოგიერთების აზრი, თითქოს ლანდტაგმა იმიტომ მიიღო ასეთი კანონ-პროექტი, რომ ამით დემონსტრაცია მოახდინა ბავარიაში ხელმწიფე იმპერატორის შესაძლებელ მისვლის წინააღმდეგ, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ლანდტაგში ამის შესახებ შეკითხვა ადრე იყო შეტანილი. სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე უცხოეთის პრესაში გავრცელებული ხმები, თითქოს ხელშეკრულობის დარღვევით პალატა ნებას აძლევდეს მეფის მოკვლის განმზრახველებს ბავარიაში თავშესაფარს მისცემდენ. ასეთი ხმების წინააღმდეგ ზოგიერთმა დეპუტატებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს მინისტრ-პრეზიდენტმა სურვილი გამოსთქვა, რათა ამ საკითხში ბავარიის მთავრობა კორექტიულათ მოქმედებდეს.

**სოფია.** მინისტრ-პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა კრებაზე სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის შესახებ გამოწვეულ კამათის გამო. ის შეეხო კონსტანტინოპოლის და პეტერბურგის კაბინეტების ისტორიას ბულგარეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ და აღნიშნა, რომ ბულგარეთმა მუქთათ მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიური უპირატესობანი, და რკინის გზა. ყველა ამის მადლობელია ბულგარეთი რუსეთის და მისი მონარქის. შემდეგ ის შეეხო ოსმალეთთან დამოკიდებულებას.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატა შეუდგა სამხედრო რეფორმის კანონ-პროექტის განხილვას, პალატამ მიიღო ს.-დემოკრატების ფორმულა „ერთი სალდათი ოჯახზე". ლიბერალების წინადადება უარყოფილ იქნა შემცირებულ იქნას ნამდვილი სამსახური ერთ წლამდე. უარყვეს აგრეთვე მუხლი ყოველ წლივ შეადგინონ კონტიგენტი.

**ვენა.** ზედა პალატაში ბინერტმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც აღნიშნა შინაური პოლიტიკის ცუდი მდგომარეობა. მან განაცხადა, რომ კაბინეტი მზათ არის გადადგეს, რომ დარწმუნებული იყოს მისი გადადგომით წესიერება დამყარდება. მან უარყო საყვედურები, თითქო მთავრობა ანტისლოვენურ და ანტიპარლამენტარულ პოლიტიკას ეწ-

ვოდეს. წინააღმდეგ, მთავრობა ცდილობს მოაწესრიგოს პარლამენტის მუშაობა. საჭიროა პარლამენტის პარტიებმა ობსტრუქციას თავი დაანებონ, რადგან ქვეყნისათვის დიდი უბედურობა იქნებოდა ხალხის წარმომადგენლებმა ნაციონალურ ბრძოლას მოანდომონ მთელი დრო და დაივიწყონ სახალხო საქმე.

### რუსეთი

**ბლაგოვეშჩენსკი.** გუშინ სიინტენდანტოს მოხელეების: ლისოვსკის და ბიბაევის ბინაზე შეიჭრა ცხრა შეიარაღებული უცნობი და აიძულეს მოხელეები დაეწერათ „ჩეკი“ ბანკიდან ფულის გამოსატანათ. შემდეგ როგორც მოხელეები, ისე მათი ოჯახობა ოთახში ჩაკეტეს, თითონ კი წავიდენ სახელმწიფო ბანკში, მიიღეს „ჩეკით“ 17,000 მანეთი და უგზო-უკვლოთ მიიმალენ.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის დათხოვნა. უმაღლესი ბრძანებით დათხოვნილ იქნა ფინლიანდიის სეიმი. ახალი არჩევნები მოხდება 1 თებერვალს. სეიმი გაიხსნება 1 მარტს, ახალი სტილით.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. უმაღლესი ღრამოტა ფინლიანდიის ეხლანდელ სეიმის დათხოვნის და ახალის მოწვევის შესახებ. „შეწევნითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომთ დიდ სამთავრო ფინლიანდიაში, ვუბრძანე რა მოახდინონ სეიმის დეპუტატთა ახალი არჩევნები, საკეთილოთ ვსცანით დავითხოვოთ მორიგი სეიმი 5—18 ნოემბერს და თანახმათ 18 პარაგრაფისა მოვიწვიოთ ახალი სეიმი 1910 წლის 1 მარტს, ახალი სტილით, ქალაქ ჰელსინგფორსში, ამიტომ ყველა ისინი, რომლებიც არჩეულ იქნებიან დეპუტატებათ უნდა გამოცხადდენ დანიშნულ დღეს ქალაქ ჰელსინგფორსში თავიანთი მოვალეობის ასასრულებლათ. ნამდვილზე მისის იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია „ნიკოლოოზი“.

**რიგა.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია 1905 წელს რიგა-ორლოვის რკინის გზის გაფიცვის საქმე. 6-ს მიუსაჯა სხვადასხვა ვადით ციხე, 38 გაამართლა, 8 დაიმალა გასამართლებამდე. რადგან დამნაშავეთა რიცხვი ბევრი იყო, სასამართლოს სხდომა საზოგადო სახლის დარბაზში მოხდა.

**პეტერბურგი.** ათასი მანეთით დააჯარიმეს „რეჩი“-ს რედაქტორი ელეკინი „გადაწყვეტის წინათ“ წერილის მოთავსებისათვის.

რადგან გაზეთ „პეტ. ვედ.“ სვიატოპოლკ-მირსკის წერილებმა უცხოეთის გაზეთების ყურადღება მიიპყრო, პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს დაევალა გამოაცხადოს, რომ ამ წერილებს, რომელსაც არ თანაუგრძნეს რუსეთის დანარჩენმა გაზეთებმა, ენერგიულათ კიცხავენ როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისე მთავრობის წრეები. „პეტ. ვედ.“-ს ოფიციალური ხასიათი არა აქვს და მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც საგარეო საქმეთა სამინისტროს და არც მთავრობას.

**სმოლენსკი.** სოფელ ზაბოროვოში დაიწვა 43 სახლი და ყოველივე ქონება.

**მოგილევი.** გომელსკის მაზრის სოფელ ბორშოჩოვკაში დაიჭირეს ორი კაცი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სოფელ კრუპცში მღვდლის მოკვლაში. ორიც გაიქცა. ისინი ჩასაფრდენ სოფელ კრუპცში და სროლა ასტეხეს. ორი საათის სროლის შემდეგ ორივე მოკლეს. გამოირკვა, რომ დაჭერილები ბორშაჩოვკის და ვასილიევკის სოფლის გლეხებია. მოკლულებს აღმოაჩნდათ მაუზერი, ბრაუნინგი, პატრონები, ფანარი, პარიკი და გრიმი. მეთაურია არხანგელის გუბერნიაში გაგზავნილი და იქიდან გამოქცეულია.

**მოსკოვი** ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს გამოცეს კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ.

**ხარკოვი.** სამოსამართლო პალატის განკარგულებით დისციპლინარულ სამართალში მისცეს ხარკოვის ნაფიც ვექილთა საბჭო, პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოქმედების დაფასების გამო სასამართლოს სხდომაზე.

**სარატოვი.** საუცხოვო თბილი ამინდებია, ბალაშოვის მაზრაში ალუბალი ყვავის.

**ხ ო ლ ე რ ა.**

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა სამი, მოკვდა ერთი. ავათ არის 109. ქალაქის ახლო-მახლოს ავათ გახდა 2, ავათ არის 7.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ახალი ექსპედიცია.** ჯავიდ-ფაშა ხელახლა გაემართა ალბანიისაკენ 700 მეომარით და ორი ზარბაზნით. ექსპედიციის მიზანია აჯანყებული სოფლების დამორჩილება.

### რუსეთი.

— **დუმის გარშემო.** პურიშკევიჩის ინიციატორობით მემარჯვენე პარტიათა სხდომა მოხდა, რომელმაც დაადგინა: 1) დუმის მორიგ სხდომაზე ზამისლოვსკი ჩვეულებრივათ დაიჭერს მდივნის უფროსი თანაშემწის ადგილს, 2) ადგილს არავის დაუთმობს, სანამ თავმჯდომარე რეპრესიულ ზომებს არ მიმართავს, 3) ზამისლოვსკის დუმის დარბაზიდან გასვლისთანავე ყველა მემარჯვენენი სხდომას დასტოვებენ და მინისტრთა თავმჯდომარის სახლზე შეკითხვას შეიტანენ თავმჯდომარის მიერ დუმის ნაკაზის შეცვლის შესახებ. სხდომის გახსნის წინ დეპუტატ სოკოლოვს, ზამისლოვსკის მოადგილეს, შემდეგი შინაარსის ბარათს გადასცემენ: „მოწყალეო ხელმწიფევ, დუმის წევრო ვ. ი. სოკოლოვო! თქვენ ვალდებული ხართ დუმის ნაკაზს დაემორჩილოთ, რომელიც ყველა ფრაქციებისათვის სავალდებულოა. გასულ შაბათს მომხდარ მდივნის უფროსი ამხანაგის არჩევნებზე დარღვეულ იქნა დუმის ნაკაზის მე-24 მუხლი და არჩევნებიც უკანონოთ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ წინადადებას გაძლევთ თქვენი ნებით უარი სთქვათ მდივნის ამხანაგის თანამდებობაზე, რომელსაც უბრძოლველათ არ დაგანებებთ. გაფრთხილებთ, რომ ჩვენთან ბრძოლა მოგიხდება, ვინც გაიმარჯვებს—ამას მომავალი გვაჩვენებს. წინადადებას გაძლევთ, პირველ სხდომაზევე უარი გამოაცხადოთ. უარის მიზეზათ შეგიძლიათ რაც გენებოსთ ის დაასახელოთ.

— ახლათ არჩეულმა მდივნის უფროსმა თანაშემწემ სოკოლოვმა განაცხადა, რომ თუ მემარჯვენე დეპუტატებმა წინააღმდეგობა გამიწიეს, თანამდებობაზე უარს ვიტყვიო.

— მემარჯვენე დეპუტატებს უთქვამთ, დღეიდან ოპოზიციასთან ერთათ ხმას მივსცემთ უკიდურეს ხასიათის წინადადებებს, მიუხედავათ იმისა, რომ ეს წინადადებანი დუმის არსებობისათვის ფრიად საშიშო იქნება.

— ბექდვითი სიტყვის ბიუროს თავმჯდომარემ ხომიაკოვისაგან მიწერილობა მიიღო, რომლითაც ის წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ განხილულ იქნას ბიუროს მიერ „რეჩის“ თანამშრომელის, ლიტოვცევის ინციდენტი.

**ფინლიანდიის შესახებ.** ახლო მომავალში ფრიად მნიშვნელოვან აქტების გამოქვეყნებას მოელიან, რომელიც ფინლიანდიის საქმეებს შეეხება.

**ქალთა უფლებანი.** სახალხო განათლების მინისტრი პროექტს ადგენს. ამ პროექტის ძალით უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებულ ქალებს იგივე პროფესიონალური უფლებანი მიენიჭებათ, რაც მამაკაცებს აქვთ. ყოველ წლობით განსაკუთრებული კომისიები დაინიშნება ეგზამენებისათვის. ვინც ეგზამენს კარგათ დაიჭერს, პირველი ხარისხის დიპლომს მიიღებს. ქალებს უფლება ექნებათ აგრეთვე მიიღონ სამეცნიერო ხარისხი მაგისტრის და ექიმის.

**სოფლის ამოწყვეტა.** სახალინზე შავი ყვავილისაგან სოფელ გოსკაიას მცხოვრებნი მთლათ გაწყვეტილან. გადარჩენილა მხოლოდ ერთი მოხუცებული. სოფელი რუსებით იყო დასახლებული.

**ებრაელი ვექილები.** იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო პალატების თავმჯდომარეებს სია მოსთხოვა იმ ებრაელებისა, რომელნიც ამ წელიწადში ნაფიც ვექილთა ხარისხს მიიღებენ. სამინისტროს, გაზეთების გადმოცემით, აზრათ აქვს ებრაელ ვექილების რიცხვი განსაზღვროს მთელ რუსეთში.

**მუშების დეპუტაცია.** ვოტკინის ქარხნის მუშების დეპუტაციამ 30 ოქტომბერს ინახულა სავაჭრო მინისტრის ამხანაგი კონოვალოვი და სამთო დეპარტამენტის უფროსი კურმაკოვი. დეპუტაცია შუამდგომლობდა მთავრობას სესხი მიეცა მათში დამწვარ ორთქლ-მავალების (პარაოხების) ცეხის ხელ-ახლა ასაშენებლათ, აგრეთვე შეუკვეთოს მთავრობამ ქარხანას სამუშაო, ვინაიდან უმუშევრობის გამო მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან. სამუშაოს შეკვეთას მინისტრის ამხანაგი დეპუტაციას დაპირდა, რაც შეეხება დამწვარი ცეხის გაახლებას—ამის შესახებ დეპუტაციამ გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო.

**პროვოკატორი ქალი.** ამას წინათ პარიზიდან დეპეშით იტყობინებოდენ, რომ ბურცევმა ცნობები გამოაქვეყნა პროვოკატორი-ქალის, სერებრიაკოვას შესახებ. ლიტერატურულ და საერობო წრეებში ანნა გრიგორიევნა სერებრიაკოვას კარგათ იცნობდენ. მას კარგათ იცნობდენ აგრეთვე მოსკოვის მოწინავე წრეებში. ნაცნობების სიტყვით, სერებრიაკოვა არა ჩვეულებრივ პიროვნებას წარმოადგენს. ის ფრიად განვითარებული და სერიოზული მოკამათეა. მოსკოვში მისი მოღვაწეობა იწყება მე-80 წლებიდან. ერთ დროს ის „კურიერში“ თანამშრომლობდა. მას მინდობილი ქონდა უცხოეთის განყოფილება. ამავე დროს ეკუთვნის სერებრიაკოვას მიერ სხვა და სხვა ლიტერატურული და ლიბერალური წრეების გაცნობა. ის დიდ ხანს იყო მეგობრულ განწყობილებაში გამოჩენილ მწერლებთან და მოღვაწეებთან, როგორიც იყვენ: ზლატოვრატსკი, გოლცევი, მაჩტეტი, კიჩეევი, გამომცემელი ჩარუშნიკოვი, ორფანს-ვიმიშლა და სხვ. სერებრიაკოვა საერობო მოღვაწეს გაყვა ცოლათ და ფართო ნაცნობობა დაიჭირა საერობა მოღვაწეებში, რომელნიც ახლა გაკვირვებით კითხულობენ: „ნუ თუ სერებრიაკოვა 24 წლის განმავლობაში პროვოკატორი იყოო?“.

სერებრიაკოვა მოსკოვის სტუდენტთა წრეებში დიდ მონაწილეობას იღებდა, კრებდა ფულებს სხვა და სხვა მიზნისთვის, თითონ აწყობდა წრეებს, ეხმარებოდა პოლიტიკურ ტუსაღებს და სხვ. სერებრიაკოვას პირდაპირი გავლენის ქვეშ იყო მოსკოვის ყოფილი გუბერნატორის ე. პ. დურნოვოს ქალიშვილი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა „მემარცხენეთა“ წრეებში. მოსკოვის აჯანყების დროს ე. დურნოვო ქალიშვილითურთ დაატუსაღეს და მხოლოდ დიდი გირაოს შეტანით გაანთავისუფლეს. სერებრიაკოვა მუშაობდა მოსკოვის სოც.-დემ. რაიონში. ის მაქსიმალისტების წრეებშიაც კარგათ ცნობილი ყოფილა. ამავე დროს ის თურმე 24 წ. განმავლობაში პოლიციის აგენტათაც მსახურობდა.

**არეულობა ჟიტომირის სემინარიაში.** ჟიტომირის სემინარიის მთავრობამ სასწავლებლიდან „პოლიტიკის განდევნა“ განიზრახა. ამ მიზნით რექტორის ხელდასმით ანტონი ვოლინსკის კურთხევით მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ დააარსა სასწავლებელში. ამ დღიდან მოსწავლენი ორ ბანაკათ გაიყვენ: კავშირის წევრები და კავშირის გარეთ მყოფნი. რამდენათ პირველებს მთავრობა ეხმარებოდა ყოველი სახით, იმდენათ დანარჩენებს ავიწროვებდა. ბოლოს დამოკიდებულება მოწაფეებს შორის იქამდე გამწვავდა, რომ მათი ერთათ არსებობა შეუძლებელი შეიქნა, დაგუბებულმა უკმაყოფილებამ იფეთქა. მოწაფეები ერთი მეორეს დაერიენ და თავ-პირი დაამტვრიეს. სემინარიის მთავრობა იძულებული შეიქნა პოლიციისათვის მიემართა.. არეულობის გამო ბევრი მოსწავლე დასაჯეს. რექტორი იძულებული გახდა „კავშირი“ მოესპო.

**გამხეცებული კაცი.** 29 ოქტომბერს გელსინგფორსში საშინელი დრამა დატრიალდა, რომლის მსხვერპლი გახდენ საათფიაქო ნივთებით მოვაჭრე ბურსკმანი და მისი მახლობელნი. ბურსკმანის მაღაზიაში შევიდა ვინმე ფრისი და სამუშაო ითხოვა. მას მიანდვეს შუშის დაჩეხა და წინდაწინვე ერთი მარკა მისცეს. მუშა მალე მთვრალი დაბრუნდა და კიდევ მოითხოვა ფული. ბურსკმანის დამ კასა დაკეტა და ძმის ბინაზე წავიდა. ფრისი უკან დაედევნა, სამზარეულოში შეუვარდა და ფულის თხოვნა დაუწყო. ხმაურობაზე მოვიდენ თითონ ბურსკმანი და მისი მოხუცებული დედა. მოთმინებიდან გამოსულმა ფრისმა ჯიბიდან დანა იძრო და სასიკვდილოთ დასჭრა ბურსკმანი მისი და და დედა. ბურსკმანი მალე გარდაიცვალა. ფრისი კატორღაში ნამყოფი აღმოჩნდა.

**შანტაჟისტი პოლიციელები.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკს ურიცხვი საჩივარი მისდიოდა პოლიციელების მიერ სხვადასხვა პირებისაგან ფულის გამოტყუებაზე. გრადონაჩალნიკმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და განკარგულება მოახდინა საჩივრების შესახებ გამოძიება მოეხდინათ. გამოძიებამ პოლიციელთა მოქმედებაში ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. 29 ოქტომბერს გრადონაჩალნიკის განკარგულებით 10 უბნის ზედამხედველი დაითხოვეს სამსახურიდან. ყველანი პასუხის გებაში არიან მიცემულნი.

### საზღვარ-გარეთ.

**არაყის ბოიკოტი.** გერმანიის მთავრობამ არაყზე გადასახადი გაადიდა. სოციალდემოკრატების პარტეიტაგმა ლეიპციგში დაადგინა მიმართოს ამხანაგებს, რომ თავი შეიკავონ და არაყის სმა შესწყვიტონ. ამას წინათ ამ საკითხის შესახებ „ფორვერტსში“ წერილი დაისტამბა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არც ერთ პარტეიტაგის დადგენილებას ხალხი ისეთი აღფრთოვანებით არ შეგებებია, როგორც არაყის ბოიკოტს. მთელ გერმანიაში ამ ბოიკოტს მხარი დაუჭირეს.

**კრიზისი შრომის კონფედერაციაში.** რაკკონიდჟში (იტალიაშია) მომხდარმა მონარქების შეხვედრამ იტალიის შრომის კონფედერაციაში დიდი კრიზისი გამოიწვია. კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ადგილობრივი შრომის კამერების შეკითხვის შემდეგ დაადგინა თავი შეეკავებინა გაფიცვის გამოცხადებაზე. წარსულ კვირაში ბოლონიაში მოხდა „მიწის მუშათა“ კონგრესი, რომელმაც აღმასრულებელი კომიტეტის ტაქტიკა გაკიცხა და ამის გამო მკაცრი რეზოლიუცია გამოიტანა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის შემდეგ შეუძლებლათ სცნო თანამდებობაზე დარჩენა და გადადგა. მოსალოდნელია კონფედერაციის ტაქტიკაში ძირითადი ცვლილებების შეტანა.

**სამხედრო სამზადისი.** ავსტრიის სამხედრო მინისტრის განკარგულებით 1910 წლიდან ლვოვის და კრაკოვის სამხედრო კორპუსებს ორი ბათალიონი მიემატება, მხოლოდ ტიროლის კორპუსს—ერთი ბათალიონი. გარდა ამისა, ბელგრადის პირდაპირ, ზემლინში აგებულ იქნება საბრიგადო შტაბი, სადაც გაიგზავნება ერთი პოლკი ქვეითი ჯარი.

**ქალაქის აფეთქება.** ბუენოს-აირესიდან ლონდონში დეპეშით ატყობინებენ, რომ დინამიტის საწყობის აფეთქების გამო ბოლივის ძველი ქალაქი—ორურო დაიქცა. ათი კილომეტრის (კილომეტ.= 468,7 საჟენ.) მანძილზე შენობები სრულიად განადგურებულია. გადარჩენილი მცხოვრებლები შიშით თავზარდაცემულნი არიან.

**სოც. დემ. საქსონიის ლანდტაგში.** სოციალდემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა უარი სთქვა პალატის პრეზიდიუმის წევრობაზე.

# ახალი ამბები

**დეპუტატ გეგეჭკორის ცნობით** გაზ. „H. P.“-მა წერილი დასტამბა, რომელიც ეხება კავკასიის ბევრ ადგილებს და ნამეტურ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის მოუსავლობას. ცნობების შესაკრებათ ნამესტნიკი გუბერნატორებს შეეკითხა. დაღესტნის გუბერნატორი ცნობებს იძლევა და სხვათა შორის დასძენს: რადგან ხალხს ვაცნობე და ავუხსენი კიდეც, რომ მოუსავლობის დროს ადმინისტრაცია ყოველთვის დახმარებას იძლევა, ამიტომ, საჭირო და დასაშვებიც არაა, რომ ხალხი ამ კითხვის შესახებ ადმინისტრაციის გარეშე რომელიმე დეპუტატს შეკითხვას უგზავნიდესო.

✦ **ქართველი ექსპროპრიატორის დაჭერა.** ქერჩში დაუჭერიათ ექსპროპრიატორი—ქართველი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია პეტერბურგის საერთაშორისო ბანკიდან 20,000 მანეთის გატაცებაში. მას თან აღმოსჩენია 6,015 მანეთი. დაჭერის დროს მას პოლიციელებისათვის წინააღმდეგობა გაუწევია. პოლიციელებს ის ტყვიით დაუჭრიათ.

✦ **დრამატიული საზოგადოების გამგეობამ** თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დეპუტაცია გაუგზავნოს ნამესტნიკს გაბუნია-ცაგარლის იუბილეის გამართვის საცნობათ და მის დასაპატიჟებლათ ამ დღესასწაულზე. დეპუტაციაში არჩეულნი არიან. პ. თუმანოვი, ნ. ქართველიშვილი და ნ. თუმანოვი.

✦ **სწავლის ნიშნების გაუქმება.** თფილისის, მე-4, საქალებო გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა:—მოისპოს პირველ სამ კლასში ნიშნების წერა და სწავლის წარმატება აღინიშნოს სიტყვებით: „ძალიან კარგი“, „კარგი“ „გვარიანი“ და სხვა.

✦ **ინსტრუქციები.** ქალაქის გამგეობამ ინსტრუქციები დაბეჭდა ქალაქის ყველა დარგის მოსამსახურე-აგენტებისთვის დასარიგებლათ.

✦ **შუამდგომლობა.** ქალთა უმაღლესი კურსების დამაარსებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რათა მან 5,000 მ. წლიური შემწეობა აძლიოს ხსენებულ კურსებს.

✦ **სექციის სხდომა.** დღეს სახალხო სახლში დანიშნულია სხდომა ქართული წარმოდგენების მომწყობ სექციისა, რომელზედაც გაარჩევენ დრამატიულ საზოგადოების შეკითხვის გამო ქალაქის კომისიის დადგენილებას სახალხო სახლში წარმოდგენების გამართვის შესახებ.

✦ **ქალაქის გამგეობის წინადადება.** ქალაქის გამგეობამ ბოქაულების დახმარებით აცნობა სახლის პატრონებს, რომ მათ თავიანთ სახლებთან ქვაფენილები შეაკეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით გამგეობა შეაკეთებს ქვაფენილებს და დახარჯულ ფულს სხვა ზომით გადაახდევინებს მეპატრონეებს.

✦ **წარმოდგენა „ესპერანტოს“ ენაზე.** „ესპერანტოს“ ენის ავტორის, დოქტორ ლ. ზამენგოფის 50 წლის შესრულების გამო დღიდან მისი დაბადებისა, 2 დეკემბერს სახალხო სახლში ხსენებულ ენაზე წარმოდგენას დადგამენ.

✦ **სამეურნეო სკოლა** კახურის საზოგადოებას, დაუდგენია დააარსონ სამეურნეო სასწავლებელი. ამ საქმისათვის კომისია უკვე აურჩევიათ, (ტ. ლ.)

✦ **მამასახლისისა და სოფ. მწერლის შეპყრობა.** აკეთიდან იტყობინებიან: რომ ლანჩხუთის ბოქაულის განკარგულებით შეუპყრიათ ადგილობრივი მამასახლისი ხუხუნაშვილი და მწერალი გოგუაძე. მათ ბრალდებათ სამსახურში მრავალ ბოროტმოქმედებათა ჩადენა.

✦ **საწევრო გადასახადი.** სოფლის მეურნეთა სიეზდში ჩასაწერათ საჭიროა 2 მ. გადახდა. ამ ფულში სიეზდის წევრებს მიეცემათ ბიულეტენები და სიეზდის დადგენილებანი.

✦ **მეურნეთა სიეზდი** თფილისში გაიხსნება 15 ნოემბერს, ხოლო 20 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე სამეურნეო საზ. შენობაში დაინიშნება მეფუტკრეობის გამოფენა.

✦ **ბათუმის ქართულ სკოლის** მასწავლებლათ არსენ წითლიძე აურჩევიათ.

✦ **მთავრობის მამასახლისები.** ნამესტნიკის განკარგულებით მთავრობის ორი მამასახლისი დაინიშნა სოფლებში: ახალდაბა, ნეძვში ჰოჰორაკში, ყვიბისში და ბერისსაყდარში ექვსი თვის ვადით; მამასახლისების და მათთან 4 საპოლიციო მცველის ჯამაგირები სოფლებმა უნდა გადაიხადონ. სოფლებს ბრალდებათ, რომ მათ არ გასცეს ის პირნი, რომელნიც ავაზაკ ტალახაძეს დახმარებას უწევენ.

✦ **სამართალში მიცემა.** კავკასიის უმაღლესი მთავრობის დადგენილებით სამართალში მისცეს შემახის ციხის ყოფილი ზედამხედველი ტუსაღის უკანონოთ განთავისუფლებისათვის.

✦ **გაქცეული სალდათი.** 3 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა 1907 წ. დრაგუნის პოლკიდან გაქცეული ჯარის კაცი მ. მიკოუშაძე. შეპყრობილი თფილისის მაზრის უფროსთან გაგზავნეს.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 5 ნოემბერს ღამის 12 საათზე, იზმაილოვის ქუჩაზე, რევოლვერით თავის მოკვლა განიზრახა პოლიციელმა კ. ისაკაძემ. ტყვია მარცხენა თეძოში მოხვდა. დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს. თვითმკვლელობის განზრახვა რომანტიულ ნიადაგზე მომხდარა.

✦ **ქალთი თანასწორობის უფლების ლიგამ** დაადგინა იშუამდგომლოს სახელმწიფო სათათბიროს წინაშე სახელმწიფო სამსახურში მყოფ ქალთა უფლებების გაფართოების შესახებ.

✦ **უწმ. სინოდმა განიზრახა.** გახსნან საქალებო საეპარქიო სასწავლებლებში მე-8 კლასი, რათა კურს დამთავრებულ ქალებს საშვალება ეძლეო-

დეთ უმაღლესი განათლების მისაღებათ.

✦ **სიკვდილი საუკუნო კატორგათ** შეუცვალა ნამესტნიკმა მ. შინაძეს, გ. აბულაძეს, რ. მეთოდიშვილს. ა. გოტიშვილს და ს. ბახუტაშვილს, რომელთაც თავზე დაცემისათვის კავკასიის სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ქონდათ მისჯილი.

✦ **ახალი გაზეთი**. მელიტონ არველაძე სთხოვს გუბერნატორს, რათა მას ნება დაერთოს გამოსცეს თფილისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „ახალი სხივი“.

✦ **სახალხო სახლი**. კვირას, 8 ნოემბერს ნ. მ. სპილიოტი, სახალხო სახლში წაიკითხავს ლექციას „იოანე მრისხანე“. დასაწყისი დღის 11 საათზე. ახლო მომავალში ა. მალხაზოვი წაიკითხავს ლექციას: „ორგვარი მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურაში“.

✦ **რედაქციამ მიიღო** წ. კ გამავრცელებელი საზოგადოების 1908 წ. დაბეჭდილი ანგარიში.

✦ დღეს გამოვა იუმორისტული ჟურნალი **„მათრახი და სალამური“** შემდეგი შინაარსით: „სქესი და სიყვარული“—კისა. „სხვადასხვა დღიურებიდან“ შოლტისა, „ეშმაკის ინტერვიუ“, „ეშმაკის ტრამვაი“—ლექტორისა, „გაცრუებული იმედები“—მასკასი. შარადა—კოლოსი. მესტვირული—გლეხისა. წერილები ყვირილიდან, ხონიდან და სხვა.

---

## ბ.ბ. მეგობარის და იკას წერილების გამო.

—

რადგან ძველი სექციის და ახალი წრის გარეშემო ატეხილი კამათი თქვენი გაზეთის ფურცლებს არ გასცილებია, ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებითვე გავსცე პასუხი ბბ. მეგობარს და იკას.

ბბ. მეგობარს და იკას არ მოსწონთ ახალი წრე. მათის აზრით სამი—ოთხი კაცის მიერ მოწვეული, ან და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მიერ დანიშნული ლექცია უმჯობესია და თან უფრო დემოკრატიულიც, ვიდრე დამოუკიდებელი საზოგადოება. კაცია და გუნებაო, მოგეხსენებათ და არც მე ავუხირდები მათ, მით უფრო, რომ ბ. ნიკო ელიავამ, რომლის საქმეში ჩარევა ეკალივით ესობათ ბბ მეგობარს და იკას, სანამ შეეძლოთ მალავდენ კიდეც იმის გვარს ადვილ გასაგები მიზეზებისა გამო, ნათლათ დაამტკიცა წრის უპირატესობა სექციასთან.—არ მოსწონთ წრე, კიდევ უფრო იმიტომ, რომ წრის ინიციატორებს ქვენა გრძნობები და პირადი ანგარიშები ამოქმედებდათო. თუმცა ინიციატორების განზრახვა ვერაფერი საზომია წრის დასაფასებლათ. მაინც არც ამაში ავუხირდებით.—როდესაც ისინი პროგრესიული გაზეთის ფურცლებიდან ბოიკოტს უცხადებენ კულტურულ დაწესებულებას და ბოიკოტისკენ მოუწოდებენ საზოგადოებას, აქაც შეგვიძლია გულდამშვიდებით ვიყოთ და ვენდოთ ხალხის კეთილ-გონიერებას, ვიმედოვნოთ, რომ ის მალე შეიგნებს საითაც არის სიმართლე.

დეე ამტკიცოს ბ. იკამ, რომ საზოგადოების ფიზიონომია მის წესდებაში იხატება, რომ წესდება საზოგადოების, კანონი—ცხოვრების სარკეა. ჩვენა გვგონია, რომ 4 მარტის კანონზე აგებული წესდება-სარკე ძალიან ბრუნდათ უნდა აჩვენებდეს საზოგადოების ფიზიონომიას. გვგონია იმიტომ, რომ ცხოვრება წინ უსწრებს კანონს, მათ შორის ხშირათ წინააღმდეგობაა, რომ ხშირათ საზოგადოების წესდება და მისი პრაქტიკა თვალსაჩინოთ სხვადასხვაობენ. გვგონია, რომ იმავე 4 მარტის კანონზე აგებული წესდება პროფესიონალური კავშირებისა ვერ არის მათი სარკე ჩვენ ასე გვგონია, მაგრამ თუ ბ. იკას სურს, რომ ეს ასე არ იყოს, იყოს ნება მისი.

დეე იმსჯელონ, რომ რაკი წესდების ორი მუხლი უვარგისია, რაკი აოჩევნების სისტემა დღესვე არაა დემოკრატიული, მაშ ისევ ზევიდან დანიშვნა სჯობიაო. დასტოვოს უყურადღებოთ ის გარემოება, რომ არც ერთი დამფუძნებელი წევრი არასოდეს, არც კრებამდის და არც მის შემდეგ არ იყო თანახმა, რომ წესდება უცვლელათ დარჩენილიყოს. თვით დამფუძნებელ წევრთა კრებაზე ბ. ბაქრაძემ, გააცნო რა დასწრეთ სახალხო თეატრის და წრის დაარსების მოკლე ისტორია, თავისი მოხსენება გაათავა შემდეგი სიტყვებით: „წრის ინიციატორები არ უმალავენ არც სხვებს და არც თავის თავს, რომ წესდებას ბევრი ნაკლულევანება აქვს. ზოგი რამ, რაც ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს, განზრახ არის შეტანილი პრაქტიკულის მოსაზრებით, ზოგიც შემთხვევით იქნება შეპარული. ინიციატორები იმედოვნებენ, რომ შეცდომები ადვილი გასასწორებელია, საჭიროა მხოლოდ შრომა და საქმის სიყვარული“.

მიწოდოს ბ. მეგობარმა პირველი ავტორი წრის დაარსების სურვილისა, მაშინ, როდესაც მე ვარ უკანასკნელი ავტორი, მოსურნე იყვნენ და არიან ყველანი სცენის მოყვარეებიდან და სექციის წევრებიდან დაწყებული—სახალხო თეატრის საზოგადოებამდის, ხოლო დაარსების ინიციატივა ეკუთვნით ქ. დემურიას და ბ. დუმბაძეს, წესდების შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ჩემსა და სვირელს გარდა ბ.ბ. შათირიშვილმა და დუმბაძემ.

დეე ამტკიცოს ბ. იკამ, რომ სექციას საუცხოვოთ მიყავდა წარმოდგენების საქმეო, მაშინ, როდესაც წარსულ სეზონში თვეში სამი დღე ქონდა დათმობილი წარმოდგენისათვის და მხოლოდ ორი დღითა სარგებლობდა. ამითი ბევრს ვერ შეიყვანს შეცდომაში.—დეე ბ. მეგობარმა რეორგანიზაციის სურვილი ჩემს ინტრიგანობაში ეძებოს. მოვაგონებ მხოლოდ, რომ თუ თითონ არ იცის, კითხოს თავის ახლო მეგობარს გრ. ურუტაძეს და ის ეტყვის, რომ მან და მისმა მეგობრებმა უვარგისათ იცნეს სექციის შედგენილობა და წინადადება მისცეს სექციის წევრს ბ. სვირელს დღევანდელი წევრების მაგივრათ სექციაში მოეწვიათ სხვები, სხვათა შორის, სამი მუშა, როგორც საქმისათვის სასარგებლო პირები, რომლებსაც იცნობენ ისინი, რაზედაც თანხმობა მიიღეს.

ყველა ამას გულდამშვიდებით შემიძლია ვუცქირო, რადგან ვიცი, რომ საზოგადოება დღესა თუ ხვალ გაიგებს, საით არის სიმართლე; ვერც იმაში დავეთანხმები ბ. იკას, რომ თფილისის მუშა ხალხი დაიღუპება, თუნდაც მე და სვირელმა კი არა, თვით ბ. იკამ და ბ. მეგობარმა უკიდურესი რეაქციონური საზოგადოება შეადგინონ, არამც თუ ანტი დემოკრატიულ ნიადაგზე აგებულ წესდებიანი წრე.

მაგრამ როდესაც მოპირდაპირის გასაბიაბრუებლათ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ქუჩაში გაგონილს თუ განზრახ შეთხზულ ჭორს გაავრცელებენ, თან ისეთი გულსაჩუყებელი შეთანხმებით იმეორებენ ერთი მეორის სიტყვებს, თითქო სტენოგრაფიულათ ჩაეწეროთ ჩვენი სიტყვები იმ დროს, როცა მე და სვირელი იმ სიტყვების წარმოთქმის დროს დუეტს ვასრულებდით, მაშინ კი არ შემიძლიან არ ვუთხრა: კმარა ბატონებო! თავგასულობასაც თავისი საზღვარი აქვს. საზოგადო საქმე საზოგადოებას ეინტერესება და თითონვე გამოარკვევს, სად არის სიმართლე. ხოლო ჩემი პირადობა არავის არ აინტერესებს და თქვენს სიტყვებს ადვილათ დაიჯერებენ.

როდის, ბ. ბ. სად, ვისთან ვსთქვი: 1, მოიცადონ ერთი, ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ახალი წრის წესდება. გუბერნატორი მას მალე დაამტკიცებს და მაგ ვაჟბატონებს პირში ჩალა გამოვლებულს დავტოვებთო. 2, რა მოხელეები არიან სექციაში მუშები—რეპერტუარის შემუშავებაში ისინი ვერაფერ დახმარებას აღმოგვიჩენენ და სხვა? მე ეს სიტყვები არ მითქვამს.

საცოდაობაში გასაგზავნია ის პირი, ვინც სექციიდან ვინმეს დასათხოვნათ ცალკე საზოგადოების დაარსებას მოინდომებს და აგრეთვე ისიც, ვინც ფიქრობს, რომ ამ ნიადაგზე შეიძლება შესდგეს დამოუკიდებელი საზოგადოება.

— რომ დამტკიცდეს? მეკითხება ბ. იკა.

— ჩემი კისერი და თქვენი ხმალი, მაგრამ დამტკიცებაც არის და დამტკიცებაც. რაკი საქმე აქამდის მივიდა, ვშიშობ, ვაი თუ ცრუ მოწმეების მოწვევაც არ ითაკილოთ. გაზეთის ფურცლებზე ძნელი გასარჩევია, მართალს ამბობს თუ არა ესა თუ ის მოწმე. ამისათვის წინადადებას გაძლევთ ბ.ბ. იკა და მეგობარო, აიხადოთ რიდე და გამომყვეთ სამედიატორო სამართალში. გნებავთ—ორივე. გნებავთ—ერთი თქვენგანი. მე კი მერჩივნა, რომ ბ. იკა გამომყოლოდა, რადგან ბ. მეგობართან სხვა პირადი ანგარიშები მაქვს გასასწორებელი.

ს. ტოროშელიძე.

---

## პასუხათ ბ. ტოროშელიძეს

—

ბ. ტოროშელიძემ როგორც იქნა ალალო ბაგენი თვისი და ჩემთან ერთად ბ. იკაც გააბედნიერა თავისი პასუხით, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება. თუ მას დავუჯერებთ, ის ცაში მართალია, უმანკო მტრედია, იოტის ოდენა წილიც არ უდევს იმ აურ-ზაურის ატეხაში და ვითომც ჯვარცმული იკას და ჩემ-მიერ, გოლგოთადან მოტავებას გვითვლის.

თავის წერილს ბ. ტოროშელიძე ტყუილით იწყებს და ტყუილით ათავებს. პირველი მისი სიცრუე არის ის, რომ ვითომ ჩვენ „ვმალავდით ნიკო ელიავას გვარს ადვილ გასაგები მიზეზების გამო“. რა „მიზეზებია“ ნეტავი ეს? რატომ არ დაასახელეთ? ალბათ ასე ამბობენ კულისებში.

როდის იყო ჩვენ ვმალავდით ბ. ელიავას? მთელი პოლემიკა მასთან გვქონდა და მაინც ვმალავდით?! როგორც თვითონ მალავს თავის განზრახვას ამ საქმეში ფართო საზოგადოებისაგან, ისეთივე ჰგონია მას ყველა. ჩემი შენ გითხარიო—რომ იტყვიან სწორეთ.ესაა

ბ. ელიავამ ნათლათ დაამტკიცა წრის უპირატესობა სექციასთან—ბრძანებს ის. სად, როდის? ბ. ელიავას სწორეთ იმას ვედავებოდით ჩვენ, რომ მას თავისი არც ერთი საბუთი არ მოუყვანია ახალი წრის სასარგებლოთ და სულ იმას იმეორებდა: „ასე ამბობენ“ „იმასაც ასახელებენო“ და სხვ. ის სულ სხვის მაგიერ ლაპარაკობდა. იქნებ თქვენ გითხრა კერძოთ, მარა ეს ხომ საბუთი არაა. და აი, ამ დროს გამოდის ბ. ტოროშელიძე და ამბობს: ბ. ელიავამ ნათლათ დაამტკიცაო. აქ მაგონდება ერთი ანეკდოტი. ორი უბინავო დაიჭირეს, ერთს ეკითხებიან—სად დგეხარო. არსადო..-უპასუხებს--ახლა მეორეს ჰკითხეს: შენ სადღა დგეხარო: მე იმის პირდაპიროო—მიუთითა პირველზე. ასე მოსდის ბ. ტოროშელიძესაც. ბ. ელიავა თავის მხრით არც ცდილა ახალი წრის უპირატესობის დამტკიცებას და ახლა ბ. ტოროშელიძე იძახის: მე აღარ შევუდგები მტკიცებას, რადგან ნიკო ელიავამ უკვე დაამტკიცაო. მოდი და ეკამათე ასეთ კაცს!

დეე ბ. მეგობარმა რეორგანიზაციის სურვილი ჩემს ინტრიგანობაში ეძებოსო—თავის მოკატუნებით ამბობს ბ. ტოროშელიძე. ჩვენ ვთქვით, ვამბობთ და დაგიმტკიცებთ კიდევაც, რომ რეორგანიზაციის სურვილის სათავე, სწორეთ რომ თქვენს ინტრიგანობაში იმალება.

როდესაც მოპირდაპირის გასაბიაბრუებლათ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ქუჩაში გაგონილს თუ განზრახ შეთხზულ ჭორს ავრცელებენ—ამბობს ბ. ტოროშელიძე—არ შემიძლია არ უთხრა: კმარა ბატონებო! თავგასულობასაც თავისი საზღვარი აქვსო. დიახ, ბ. ტოროშელიძევ! თავგასულობას სწორეთ რომ საზღვარი აქვს და აკი, ამიტომ დაგვჭირდა ამდენი ალიაქოთი, რომ საზღვარი დაგვედვა თქვენი „თავგასულობისათვის“. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ სადაური ქუჩაში გაგონილი, სადაური განზრახ შეთხზული ჭორი! თუ ეს ჭორია, ამ ჭორის პირველი ავტორი ხომ თქვენა ხართ? დაგავიწყდათ განა, რომ რამდენიმე ხნის წინათ ასე გაბედულათ ამბობდით—დავაცადონ ერთი, მალე დავტოვებთ მაგ ვაჟბატონებს პირში ჩალა გამოვლებულებს, რის მაქნისია სექციაში მუშები და სხვა. ნუ თუ ასეთი გულმავიწყი ხართ?! სად არის თქვენი მარჯვენა ხელი ბ. სვირელი, რომელიც თქვენთან ერთათ ასე მადიანათ მღეროდა ამ დუეტს? რატომ ისიც არ გვიწვევს სამედ. სამართალში?! თუ თავის სიჩუმით ადასტურებს ჩვენს ბრალდებას!

რაკი საქმე აქამდის მივიდა, ვშიშობ, ვაი თუ ცრუ მოწმეების მოწვევაც არ ითაკილოთ (ხაზი ჩვენია). გაზეთის ფურცლებზე ძნელია გარჩევა, მართალს ამბობს თუ არა ესა თუ ის მოწმე, ამიტომ წინადადებას გაძლევთ აიხადოთ ბადე და გამომყევით სამედიატორო სამართალში,—სიამაყით გვეუბნება ბ. ტოროშელიძე. ვაი თუ ცრუ მოწმეების მოწვევაც არ ითაკილოთ! ეს წინადადება სავსებით ახასიათებს ბ. ტ—ძის ზნეობრივ სიფაქიზეს. ალბათ, დაჩვეულია ცრუ მოწმეებით ფონს გასვლას. ის წინ და წინ ცრუს უძახის ჩვენს მოწმეებს, მაგრამ ეს არ გიშველით გეთუევა! რიდე აიხადეო. არ ვიცი ვისთვის და რისთვის არის ეს საჭირო. თუ ჩემი ვინაობის გაგება გინდათ, ხომ მნახავთ სამედიატორო სასამართლოში· თუ საქმისათვის არის საჭირო ბრძანეთ და არც ამის წინააღმდეგი მაქვს რამე. რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოს, სიამოვნებით გამოგყვებით და დაგიმტკიცებთ კიდევაც ყველა იმას, რაც თქვენს შესახებ დავსწერთ და რაზედაც თქვენ ასე თამამათ იძახით: არ მითქვამს, განზრახ შეთხზული ჭორია, ქუჩაში გაგონილიაო. ამას, რასაკვირველია, სასამართლო გამოარკვევს. დაასახელეთ თქვენა მედიატორები.

დასასრულ ერთი რამ. ბ. ტორაშელიძე ამბობს: მე კი მირჩევნია, რომ ბ. იკა გამომყვებოდეს, რადგან ბ. მეგობართან სხვა პირადი ანგარიშები მაქვს გასასწორებელიო. რაპირადი ანგარიშები აქვს

---

***

მიყვარდა ველი
ის კაბა-ჭრელი
იქ ვით ფირუზი, აქ ზურმუხტისა,
ფართეთ გაშლილი
შორს გადაწვდილი,
აკვანი, ტახტი შეგნების ღვთისა.
მიყვარდა მთები
ცას აწვდილები,
თავმოფუფუნი, ამაყათ მდგომნი,
მაღლა მცქერალნი,
ძალის მწვერვალნი,
უჟველ[ჟ]უთს ელვის და გრგვინვის მდომნი...
მიყვარდა მთვარე,
ვერცხლებრი არე,
შიგ მოცურავე ვარსკვლავთა გუნდნი
კდემა მოსილი,
ნარნარათ ქმნილი,
უმანკო როგორც მტრედისა ხუნდი...
მიყვარდა გულით
ნაზ სიყვარულით
ია, ენძელა, შროშანა, ვარდი
სისხლებრ ნალები,
გულის გამდები
კაეშნის, სევდის შორს გამნავარდი...
მიყვარდა შავი
ლომებრ მშვინავი
ზღვა გულ-ამაყი, მძაფრ ზვირთთა მშობი,
გააფთრებული,
ძალ-დიდებული
ხომალდთ დამსხვრევი, პირქვე დამხობი...
. . . . . . .
და ყველა, ტურფავ, რაც მე მიყვარდა
შენ მოგიძღვენი, შენ განაცვალე...
შენივ გულისთვის ვიკვნეს-ვიტირე,
მწარე ფიალა ბევრჯელ დავცალე.
არ მახსოვს მდელო! რათ მინდა ია?
ან მთის მწვერვალი, მთვარე, ზღვა, ვარდი!
ცეცხლმა დაფუტროს, მორევმა შთანთქოს,
თუ შენს გულს გიღრღნის სევდა და დარდი.
მტლეთ დაგედები, შვებას განახვებ,
თავსაც შეგწირავ ამ გულთან ერთად:
ბორკილს შეგამსხვრევ, საკანს დავაქცევ
და თავისუფალს ტახტს დავსვამ ღმერთათ...

გ. მალაქიაშვილი.

---

## ნაკადულის სიმღერა

(ლექსი პროზათ).

ნაპრალ კლდიდან მოჩუხჩუხებდა ნაკადული... მაღლიდან ძირს დაშვებულიყო და ველ-მინდორს თავის, ცრემლებივით წმინდა წყალს სთავაზებდა. ნაზი, სურნელოვანი ია, თავისი კოპწია თვალით ჩაჰყურებდა ნაკადულის პაწაწკინტელა, ვერცხლის ფერ ტალღებს და სიამოვნებით სტკბებოდა. ბუჩქნარი, ახავერდებული მინდორი ღიმილით შესცქეროდა მორაკრაკე ნაკადულს და იმის ჩუხჩუხ-სიმღერას თავისი წყნარი რხევით ბანს აძლევდა...

სოფელში ამბობდენ: ნაკადული მღერისო, მაგრამ არავინ იცოდა თუ რას მღეროდა ნაკადული! სალამო ჟამს, როდესაც ლაჟვარდი ცა ვარსკვლავებით მოიქარგავდა გულ-მკერდს და მაღალ მთებს შორი, გაბადრული მთვარის ყური გამოჩნდებოდა,—მაშინ, მხოლოდ მაშინ ისმოდა მკაფიოთ ნაკადულის ჩუხჩუხი-სიმღერა. დედა ამ დროს თავის ატირებულ პირმშოს ეტყოდა: დაჩუმდი სიცოცხლევ, გესმის, როგორ მღერის ნაკადული!.. დაღლილ-დაქანცული, ყანიდან მომავალი გლეხი, მიაღწევდა რა ნაკადულის ახლოს, ერთს წუთს უნებლიეთ შეჩერდებოდა, მოავლებდა თვალს მთვარის შუქით მკრთალათ განათებულ მთა-ველს და, რაღაც, მისთვის გაუგებარ სიამ-ტკბილობას იგრძნობდა. სახლში შესვლისას კი ჯალაბობას ეტყოდა: დღეს რა მშვენივრათ მღერის ჩვენი ნაკადულიო ..

დიახ, სოფელში იცოდენ, რომ ნაკადული მღეროდა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ რას მღეროდა ნაკადული!..

—

სუუსს... გაიგონეთ რას მღერის ნაკადული,—წასჩურჩულა ცელქმა ნიავმა სოფლის გარეთ სასეირნოთ გამოსულ ქალ-ვაჟთ და შორს, სადღაც შორს მწვანე ჩადრით შემოსილს ტყეს შეეთამაშა. მთვარიანი, გრილი, მყუდრო ღამე ფარავდა დედა-მიწას... და ამ სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ ნაკადულის ჩუხჩუხი-სიმღერა. ლამაზი მთები, ტყე, გაშლილი მინდორი და შიმშილ-წყურვილით კუჭგამხმარი, მუდამ დაღვრემილნი სოფლელებიც სულ-განაბულნი ისმენდენ ნაკადულის მშვენიერ სიმღერას.

ნაკადული კი მძლავრათ, დაუსრულებლივ მღეროდა:

„...არ მახსოვს, წინათ მე სად ვიყავ, სად ვბინადრობდი... მაგონდება კი ძლიერ მკრთალათ, როგორც სიზმარი, რომ ერთს ჰაობში, მყრალ ჰაობში განვისვენებდი... ფიქრი-წუხილი, აღმაფრენა-მხიარულება, აღარ ვიცოდი თუ რა იყო, აღარ მწყალობდა. ვიყავ ხაოსში მე უფორმოთ ჩაკრულ-ჩაფლული და მკაცრი ღამე, გრძელი ღამე მიალერსებდა...

ერთ დღეს ვიგრძენ მე რაღაც სითბო, სითბო საამო. მსუბუქი გავხდი ვით ჰაერი თვალთ-უხილავი და მაღლა ავყევ მზის ბრჭყვიალა, კეკლუც სხივებსა...

ოჰ, რა კარგია ლაჟვარდოვან ცის ქვეშ ნავარდი!..

ნიავი თავის მსუბუქ ფრთებით დამატარებდა და შავს მიწას, ტურფა ცას ხარბათ ვუცქერდი...

ბედნიერი ვიყავ... სიხარულით თავს ბრუ მესხმოდა!..

მაგრამ უეცრივ, ერთს საღამოს, დასავლეთიდან დაჰბერა ქარმა საზარელმა,—ძლიერ აცივდა... მსწრაფლ მოვიკუმშე, სულ დავმძიმდი,—ველარ შევმაგრდი ცის სივრცეში და ძირს დავეშვი... და ერთს მაღალ მთის ხრიოკ მწვერვალს გულით დავასკდი...

დიდხანს ვიარე მთის სიღრმეში ვიწრო ბილიკით. ბოლოს წინ გზაზე, კლდე მაგარი გადამეღობა ..

ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე იმ კლდეს ძლიერსა, მაგრამ მას ჩემი არა ესმოდა, არსად მიშვებდა...

ძლიერ დავღონდი... მომაგონდა: მზის სხივები, სივრცე დიადი და გულ-ამოსკვნით ავქვითინდი, მწარეთ ავტირდი... მაგრამ კლდეს შავსა არც ტირილი ესმოდა ჩემი..

და, როს ყრუ კლდესთან ვერას გავხდი ხვეწნა-მუდარით, ვიფიქრე ძალით გამეკვლია გზა-გასასვლელი...

ბევრჯერ მამარცხა კლდემ ძლიერმა და ძლეული უკან ვიხევდი. ხშირათ ბრძოლით დაქანცული, ძლიერ დაღლილი, იმედს ვკარგავდი და ბედს, თითქოს, ქედსა ვუხრიდი...

მაგრამ ძალ-ღონე კვლავ ერთბამათ მე ატებოდა და თან იმედი დაიწყებდა შორიდან ლაპლაპს...

და კიდევ ბრძოლა მაგარ კლდესთან... კვლავ დამარცხება... კიდევ შეტევა, შებრძოლება და... ოჰ, ბედნიერი, კურთხეული, ძვირფასი წამი!.. ამაყი კლდე შეტორტმანდა, სულ მთლად შეირყა... ველარ გაუძლო გაძუდმებულ ჩემს შებრძოლებას და მთლად გაირღვა...

ჩხრიალ-ჩუხჩუხით გადმოვეშვი მაღლიდან ველზე და არე-მარეს მივესალმე,—ავახმაურე... თავი აწია იამ მაღლა და გამიღიმა, მზემ ჩემს ტალღებში თვის სხივები აათამაშა, ბუჩქნარმა ტანი აიყარა, წამოიწია და თავს დამადგა მშვენიერი, მწვანე გვირგვინი“...

—

ასე მღეროდა ნაკადული... და ეგ სიმღერა მძლავრი, წარმტაცი, ხიბლავდა არე-მარეს...

— რა ბედნიერი ხარ ნაკადულო!— წამოიძახა გაბრომ ნაკადულის სიმღერით დამტკბარმა.

— ოჰ, რა კარგი ყოფილა გამბედაობა! წაიჩურჩულა ვანომ...

„...ჩვენც... ჩვენც...“ ახმაურდა სოფელი... და წყნარათ, მაგრამ ძალუმათ დააგუგუნა სოფელმა თავისი ნაკადულისებური სიმღერა.

ილ. რუხაძე

ბ. ტოროშელიძეს ჩემთან ნეტავი? არავითარი პირადი ანგარიში არ აქვს ჩემთან და არც მე მაქვს მასთან. ეს, ალბათ იმიტომ მოჭორა, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და აფიქრებინოს: ბ. მეგობარი თურმე იმიტომ სწერდა ბ. ტოროშელიძეზე, რომ პირადი ანგარიშები ქონებია მასთან გასწორებული კვლავ ვიმეორებ, რომ ბ. ტოროშელიძესთან არავითარი პირადი ანგარიში არა მაქვს გასასწორებელი და არც შეიძლებოდა გვქონდა, რადგან ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთ შორის, სავსებით უბრალო ნაცნობა, გამარჯობა-გაგიმარჯოთი განისაზღვრება, ისიც იშვიათათ, თუ შეხვდებოდით სადმე შემთხვევით. არც საზოგადო საქმეში, არც კერძო, პირად, შინაურ საქმეში ჩვენ შორის არავითარი დამოკიდებულება არ ყოფილა, მაშ, საიდან გამოარტყვინა ბ. ტოროშელიძემ: პირადი ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი მეგობართანო. დაგვისახელეთ ერთი მაინც?

ვინც ასე იწყებს თავის გამართლებას, ის წინდაწინ იმტყუნებს თავს.

მეგობარი.

# პროვინცია

**სოფ. ბუკის-ციხე (გურია).** ეს სოფელი მდებარეობს გურიის აღმოსავლეთის მხარეს, 4—5 ვერსის მანძილზე დ. ჩოხატაურიდან. სიღარიბის მხრივ აქაური გლეხების მდგომარეობა არ განირჩევა გურიის სხვა გლეხების მდგომარეობისაგან. მათ არ მოეპოვებათ საკმაო სახნავ-სათესი მიწა, ვინაიდან სოფელი სქლად არის დასახლებული. ხალხი იძულებულია გავიდეს თავის სოფლის საზღვრებიდან და სხვაგან ეძიოს სამუშაო, რომ თავიდან აიშოროს მოსალოდნელი შიმშილი. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, ს. ბუკის-ციხის მცხოვრებნი რამდენიმე წელიწადია მეცადინეობენ გააფართოვონ არსებული სკოლა, მაგრამ წრევანდლამდე ვერაფერი მოახერხეს. წელს კი როგორც იქნა, მოიყვანეს სისრულეში თავიანთი განაჩენი. ამ წლის ივნისში არჩეულ იქნა ახალი სასკოლო კომისია. კომისია, ადგილობრივ მღვდლის ზაქ. ცინცაძის ხელმძღვანელობით ენერგიულათ შეუდგა საქმეს და ჩქარა სისრულეში მოიყვანა საქმე.

სკოლის შენობა უკვე აიგეს, რომელიც დაუჯდათ დახლოვებით 2500 მანეთამდე, დაიქირავეს ორი მასწავლებელი და მეცადინეობაც გაჩაღდა. ხაზინიდან სკოლას მხოლოდ ორასი მანეთი ეძლევა წლიურათ, დანარჩენი ხარჯები სოფელმა იკისრა. თუმცა ეს დიდ ტვირთს წარმოადგენს ისეთი პატარა სოფლისთვის, სადაც მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 130—140 კომლს, მაგრამ სწავლა-განათლების მოწყურებული ხალხი ამას არ შეუშინდა. მადლობის ღირსია ზემოხსენებული სოფ. მღვდელი ზ. ცინცაძე, რომელმაც შესწირა სკოლას (136 მ) ას ოცდა თექვსმეტი მანეთი. ვისურვებ, რომ სხვა სულიერ მამებსაც მიებაძოს ამ ქველმოქმედ ადამიანისთვის.

გოხებრივათ ეს სოფელი არ ჩამორჩება სხვა სოფელს. ბლომათ არის გამოწერილი ქართული გაზეთები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ გაზეთებს სისტემატიურათ ვერ ღებულობენ. კვირაში ორ სამჯერ თუ მიიღეს კარგია. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა არის დაარსდეს მუდმივი ფოსტა ჩოხატაურიდან ბუკის-ციხემდე. ეს ძვირი არ დაჯდება და სარგებლობის მოტანა კი დიდი შეეძლება. საჭიროა სამკითხველოს შესახებაც იზრუნებდეს ვინმე.

«შვიდობაურელი».

# მუშათა შორის

**კიზილ-არვატი.** აქ არსებობს რკინის გზის სახელოსნო, სადაც რვაასამდე მუშა მუშაობს. ისე დღე არ გავა, რომ რამოდენიმე მუშას „თავაზიანათ" არა სთხოვონ სახელოსნოდან ქუჩაზე გამობძანება. ამგვარი ბედი ისეთებსაც კი ეწიათ, რომლებიც კიზილ-არვატის სახელოსნოში 15—20 წელიწადი მუშაობდენ. ადვილი სათქმელია 15—20 წ., მაგრამ თუ წარმოვიდგენთ იმ პირობებს, რომლებშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა, თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მათ კიზილ-არ. სახელოსნოში ჩაჰკლეს თავიანთი ახალგაზრდობა. რკინის გზის მთავრობამ ჯერ ქუჩაში გარეკა ხანში შესული მუშები და მერე ისევ უკან აპატიჟება, მაგრამ არა წინანდელ ფასებში, რომელიც უდრიდა 2—2 მ. 50 კ., არამედ დღიურათ 70 კ. ესეც ერთგვარი დაცინვაა.

სახელოსნოში შეიძლება სადამ საღამოობით სავალდებულო მუშაობა. აუტანელია დღეს საზოგადოთ მუშების მდგომარეობა და მით უმეტეს აიტანელია იგი კიზილ-არვატის მუშებისთვის. კიზილ-არვატის მუშა მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ ცხოვრებას, მას არა აქვს არც თეატრი, არც კლუბი და არც ბიბლიოთეკა. სანდრო.

—

**სად. ბალაჯარა.** აქაური მოსამსახურე მუშები მეტათ ჩამო ჩენიან ცხოვრებას. უფროსს მოხელეებს რომ თავი დავანებოთ, (ესენი ხომ თფილათ და რბილათ ცხოვრობენ და რა საჭიროა მათთვის კულტურული მუშაობა), თითქმის ყველა მეისრეები, ვაგონების დამტვირთველ გადამტვირთველნი, ტელეგრაფის მოხელენი, კანტორაში მომუშავენი და მწონავები (ვესოვშჩიკები) ქართველები არიან. მათთვის აქ არ არსებობს არც წიგნთ-საცავ-სამკითხველო, არც არავითარი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ისე გაურბიან, როგორც ურია ღორის ხორცს. მათ დასახასიათებლათ ისიც საკმარისია, რომ აქაურ რკინის გზის შკაფს მოდის სამი ცალი „მომავალი", ორი „მათრახი და სალამური" და ერთი „დროება", რომელთაგან სადგება ხან ერთი და ხან ორი ცალი გაზეთ „მომავლისა" და იმასაც ღებულობენ 16—17 კაცისაგან შემდგარი პირველი კლასის ბუფეტის მოსამსახურენი, დანარჩენი ნომრები კი გაუყიდავი რჩება. გაზეთს მუშტარი უჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბალაჯარის ცხოვრებიდან დაიბეჭდა შიგ რაიმე, მაგ ამ ასეთი შემთხვევა იშვიათია, რადგანაც ბალაჯარაში ცხოვრება არც კია, აქ ყველაფერი მიკვდარებულ-მიძინებულია და აბა ყოველთვის ერთ და იმავე თემაზე წერა ვისთვის რა საინტერესოა! რომ რომ ჰკითხო აქაურ რკინის გზის წვრილ „ჩინოვნიკებ" რატომ გაზეთს არ ღებულობთო, გიპასუხებენ: გაზეთის კითხვა კი გვაინტერესებს, მაგრამ ჯამაგირის სიმცირის გამო არა გვაქვს საშუალება, რომ ყოველ დღე გაზეთი ვიყიდოთო და ამავე დროს ეს ოჯახ-აშენებულები მიიღებენ თუ არა ჯამაგირს, შემოუსხდებიან მაგიდას 1-ლ კლასის ბუფეტში, სადაც ყველაფერი მამასისხლათ ფასობს და ნაირ-ნაირ სასმელებს თხოულობენ, ან-და შეიკრიბებიან ერთ-ერთ ამხანაგის ბინაზე და ერთგულათ ეწევიან კარტის თამაშს.

ისეთ ადგილას კი, როგორიც ბალაჯარაა, სადაც უთვალავი მუშაა, სადაც ორი ვებერთელა სადგურის (ვლადიკავკავს და ამიერ კავკასიის რკინის გზის) აუარებელი მოსამსახურენია, შესაძლებელია წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება, წარმოდგენების გამართვა რასაც ხელს უწყობს ვლადიკავკავს რკინის გზის შესანიშნავი შენობა-კლუბი სცენით და დეკორაციებით მორთული, სადაც გასულ წლებში იმართებოდა წარმოდგენები და სხვა, მაგრამ ვინაა კაცი, რომ ინიციატივა იდვას თავის თავზე და აქაური მიძინებული და ცხოვრების გზას ამცდარი მუშები გამოაღვიძოს და დააყენოს კულტურის გზაზე.

იგივე

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ამერიკელ მუშათა მოძრაობის არხივი.** ჩრდილოეთ ამერიკაში, ქ. ჩიკაგოდან 4 საათის სავალზე მდებარეობს პატარა, მარა მეტათ სუფთა ქალაქი მადიზონი; ხსენებულ ქალაქში არსებობს უმაღლესი სასწავლებელი; ადგილობრივი ინტელიგენცია მეტათ მომქმედი ხალხია. უნივერსიტეტში ასწავლიან სხვათა შორის პოლიტიკურ ეკონომიას, სადაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მუშათა კითხვას. ამ რამდენიმე წლის წინათ ადგილობრივ ისტორიული საზოგადოების წევრებმა: პროფესორებმა ილიმ და კომმონსმა განიზრახეს საგანგებოთ, როგორც ამერიკელ მუშათა მოძრაობის ისტორიის, აგრეთვე, საზოგადოთ მუშათა საკითხის შესასწავლათ სპეციალური ბიბლიოთეკის დაარსება. ამ მიზნით მათ გადასწყვიტეს შეეკრიბათ ყველა დოკუმენტები, წიგნები, გაზეთები ფოტოგრაფიული სურათები და სხვ. ერთი სიტყვით, ყველა ის მასალები, რაც ეხებოდა მუშათა მოძრაობის განვითარებას როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში, თავიანთი სურვილი გაზეთებში გამოაცხადეს და მოუწოდეს საზოგადოებას დახმარების აღმოსაჩენათ—ფულით, წიგნებით თუ სხვა სახით „მუშათა მოძრაობის არხივის" საქმეს მთელი ამერიკა თანაგრძნობით შეეგება.

საქმის მეთაურებმა ჯერ შეისყიდეს ყველა ის მასალები, რაც კერძო პირთ, თუ ძველი წიგნებით მოვაჭრეებს (ბუკინისტებს) მოეპოვებოდათ, მიწერ-მოწერა გამართეს ამავე მიზნით ევროპის სხვადასხვა ადგილებში და შეადგინეს რამდენიმე საგანგებო ჯგუფი, რომელთაც დაავალეს შეერთებული შტატების ყველა კუთხების ბიბლიოთეკებში, მუშათა კავშირებში და სხვაგან მასალების შეკრება. ჯგუფებში უმთავრესათ არჩეული იყვნენ ენერგიით სავსე ახალგაზდები. ხსენებულ ჯგუფთ არც ერთი სამკითხველო, მუშათა კავშირი თუ ბიურო, გინდ კერძო გამოჩენილი პირნი არ დაუტოვებიათ— ყველა დოკუმენტებიდან იღებდენ პირს (კოპიოს), ფოტოგრაფიულ სურათებს და სხ. მარტო პროფესორმა კომმონსმა რამდენიმე ახალგაზრდა მუშის თანხლებით ჩამოიარა 16 სამკითხველო და შეკრიბა ძველი წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხ. ამ ნაირი მუშაობა რამდენიმე წელს გაგრძელდა და მართლაც, მუშათა საკითხის შესახებ დიდ-ძალი მასალა შეგროვდა.

ამ ჟამათ მადიზონის ბიბლიოთეკას თავისი სიდიდით ამერიკის პარლამენტის ბიბლიოთეკის შემდეგ (ქალ. ვაშინგტონშია) მეორე ადგილი უჭირავს, მუშათა საკითხის შესახებ წიგნებით კი—პირველი. რა გინდათ რომ იქ არ იყოს—მუშათა გაზეთები არა თუ მარტო ამერიკაში, არამედ—მთელი დედამიწის ზურგზე შეგროვილი, წესდებები, ოქმები, პროკლამაციები და მუშათა ორგანიზაციების სხვადასხვა მოწოდებები, ძველ კომუნისტურ და მერმინდელ სოციალისტურ და ანარქისტული პარტიების ბროშიურები, ჟურნალები, წერილები, ძველი ხელთნაწერები და სხ., რომლებიც ეხებიან კერძო ჯგუფთ, მოძრაობის ბელადებს და დაწესებულებებს. ბიბლიოთეკის ცალკე განყოფილებაში შენახულია ადგილობრივი სოციალისტური პარტიის მიწერ-მოწერა. იქვე ინახება ეგრეთ წოდებულ „შრომის გოლიათთა" არხივი და მათ მიერ მოწყობილი კავშირების ანგარიშები. არის აგრეთვე ანარქისტთა იშვიათი გამოცემანი და მუშათა გაზეთების ნამდვილი პირი (კოპიო), რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოდიოდა. ბიბლიოთეკის უზარმაზარი დარბაზის ოთახები მშვენივრათ მოწყობილია და დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. ერთი მწერალი, რომელმაც ამ ერთი წლის წინეთ ინახულა ხსენებული ბიბლიოთეკა აი რას სწერს: „რამდენიმე თაისინებით, უფასოთ მომუშავე ახალგაზრდები, განსაკუთრებით სტუდენტები იწერდენ და ალაგებდენ ბიბლიოთეკის სხვადასხვა წიგნებს თუ ხელთნაწერებს. აუარებელი „ბარიშნები" მუშაობდენ გადასაწერ მანქანებზე პროფესორ კომმონსის თანაშემწეთა ხელმძღვანელობით. ბიბლიოთეკის მასალა უკვე მოყვანილია ერთ სისტემაში, შედგენილია და მზადდება აგრეთვე სხვადასხვა ნაირი კატალოგები, სიები და სხვადასხვა გვარი მასალები გაზეთების საშუალებით გამოსაქვეყნებლათ. შიგ საუცხოვო წეს-რიგია. ბიბლიოთეკას განაგებს პროფესორი კომმონსი, რომელიც წინეთ უბრალო მუშა—ასოთ-ამწყობი იყო და ამ ჟამათ ის ამერიკაში გამოჩენილი მსწავლულია. ის ყველაზე ადრე მიდის დილით ბიბლიოთეკაში და საღამოთი ყველაზე ბოლოს ანებებს თავს მუშაობას. ამ ჟამათ ის ამზადებს გამოკვლევათა მთელ რიგს ამერიკის მუშათა ორგანიზაციების ისტორიიდან; მას შველის ქ-ნი სუმმერი, რომელმაც უკვე რამდენიმე შრომა დაბეჭდა ამერიკის ტრედ-უნიონიზმის ისტორიიდან. ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში კომმონსის თანაშემწე ანდრეუე იკვლევს ამერიკის ანარქიზმის სხვადასხვა პერიოდებს. რამდენიმე პირი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან მასალებს აგროვებს. მოძრაობის ორი პერიოდი: 1827—1837 წლ. და 1870—1880 წლ. მზათ არის დასაბეჭდათ. მე-40, მე-50 და მე-60 წლების პერიოდების გამოკვლევა გვიანდება, ვინაიდან საკმაო მასალები არ მოეპოვებათ. ასე რომ, იმ წიგნებიდან, გაზეთებიდან თუ სხ., რომელიც მე-60 წ. გამოდიოდა, ჯერ-ჯერობით ნახევარიც არ არის აღმოჩენილი. ბიბლიოთეკა სცემს პერიოდულ „ფურცლებს" და „ნაშრომებს". იმ მასალებიდან, რომელიც ამ ჟამათ არის შეკრებილია მტკიცდება, რომ ამერიკელ მუშათა მოძრაობა, განსაკუთრებით მუშათა პროფესიონალური მოძრაობა ინგლისის მუშათა მოძრაობაზე ადრე დაწყებულა. აგიტაცია 10 საათის სამუშაოს დასაწესებლათ და აგრეთვე 8 საათის— ამერიკაში უფრო ადრე დაწყებულა. პირველი „მუშათა პარტია" (არა სოციალისტური) ამერიკაში 1820—30 წ. გაჩენილა, რომელიც მე-40 წლებში გამქრალა" და სხ...

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს გაუწევს ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიის მომავალ მკვლევარს მუშათა საქმის ნამდვილათ და სრულათ დასასურათებლათ და ასეთი „არხივიც" სამაგალითო იქნება ყველა ქვეყნის მუშათათვის.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი** გუშინ, 5 ნოემბერს ქართულ თეატრში ითამაშეს ივ. ბარველის „სალხინო", სცენები იმერეთის ცხოვრებიდან. „სალხინო" გადმოკეთებული „ალუბლის ბაღია" ცნობილ რუსის მწერლის ჩეხოვისა. პროვინციალური მოწყენილობა, რომელიც დამახასიათებელი თვისებაა ჩეხოვის პიესებისა, ბ. ბარველმა იმერეთის გადაგვარების გზაზე მოდგომ მცხოვრებთა ერთ ნაწილს თავს მოახვია. იმ ხალხს კი, რომელიც მან თავის სცენებში გამოიყვანა, სულ არ შეეფერება ჩეხოვის ტიპების „სკუკა" რამაც პიესაში ბევრი გაუგებრობა შეიტანა, უფერული და ხელოვნურათ „შეკერილი" გახადა და, როცა უყურებ, კითხულობ—ვისი ცხოვრებიდან არის აღებული ეს სცენებიო. იმერლის დამახასიათებელი თვისებები შიგ ძალიან ცოტაა, თუ არ ის, რომ გაკოტრების გზაზე დამდგარ თავადს, ვარდენ ზვარეთელს სულ შაშიბეში აგონდება; ხოლო „გაქუცული" აზნაური, მაჭარაშვილი სულ „რას მელაპარაკები კაცო" გაიძახის. თავადის დუშაში და მაჭარაშვილის „რას მელაპარაკები" ესაა და ეს, რაც ვიპომ იმერლებს ახასიათებს პიესაში. პიესა მეტის-მეტათ მშრალია, უსიცოცხლო, ნაძალადევი, მოქმედება ერთი მეორეს არ ეკარება. როდესაც თავადი კოტრდება და გლეხს, ახლად ალორძინებულ ბურჟუას, ხელში უვარდება მისი ქონება, მას ისე გულგრილათ და არა ბუნებრივათ შეხვდება კნეინა და მისი წრე, რომ გაოცებული რჩები.

მოთამაშეებზე არაფერი კარგის თქმა არ შეიძლება, გარდა კ. მესხისა, რომელმაც საუცხოვოთ დახატა აზნაურ იმერლის ტიპი, „გალღეტილი" და ქარაფშუტა არა უშავდა ტასოს და ქილარჯიშვილს. აბა სადაური იმერელი იყო საფაროვი? ან რანაირათ ლაპარაკობდა ბ. ზარდალიშვილი? ჩვენი არტისტები ყოველთვის და ყოველნაირ პიესებში ერთი გაზეპირებული ტონით ლაპარაკობენ. იმას არ კითხულობენ, შეეფერება ეს ტონი თუ არა იმ როლს, რომელსაც ის თამაშობს. არა ბუნებრივი, გაჭიმული ლაპარაკი, უალაგო ალაგას ხმის ამაღლება, ყოველივე ეს მეუწყნარებელია სცენაზე. ბ. გვარაძე რამდენათ მშვენიერი იყო თავისი ბუნებრივობით „უდანაშაულოთ დასჯილნი"-ში იმდენათ არა ბუნებრივი იყო ამ მხრით გუშინ სტუდენტის როლში.

რაც შეეხება სცენების მოწყობას, დეკორაციებს, მთვარის ამოსვლას და ჩასვლას, ცხენების ფეხის ხმა, „სტაკნების" მოხურვა მეოთხე მოქმედებაში, ყოველივე ეს მეტათ შეუსაბამო იყო. ყოველივე წვრილმანს სცენაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. უკეთ, წვრილმანი აქ არც უნდა იყოს. როცა ყოველი მოქმედება თავის ალაგას არის, ყოველი „წვრილმანი" უნაკლულოთ სრულდება, პიესაც მხოლოდ მაშინ აღწევს თავის დანიშნულებას, თეატრს და ხელოვნებას მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია სარგებლობის მოტანა. ?

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ბ ბ. მეგობრის [illegible] წერილში ბ. ტოროშელიძე [illegible] სხვათა შორის სწერს: „დღე ბ. მეგობარმა - [illegible] სურვილი ჩემს ინტრიგანობაში ეძებოს. მოვაგონებ მხოლოდ, რომ თუ თვითონ არ იცის, კითხოს თავის ახლო მეგობარს გრ. ურატაძეს და ის ეტყვის, რომ მან და მისმა მეგობრებმა უვარგისათ იცნეს სექციის შედგენილობა და წინადადება მისცეს სექციის წევრს ბ. სვირელს დღევანდელი წევრების მაგივრათ სექციაში მოეწვიათ სხვები, სხვათა შორის სამი მუშა, როგორც საქმისთვის სასარგებლო პირები, რომლებსაც იცნობდენ ისინი, რაზედაც თანხმობა მიიღეს".

გამოდის, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად, მე უვარგისათ მიცნია სექციის შემადგენლობა და, ასე წარმოიდგინეთ, წინადადებაც მიმიცია თურმე ბ. სვირელისათვის დღევანდელი წევრების მაგიერ სექციაში სხვები მიეღოთ და დამისახელებია კიდეც სამი მუშა.

რა უთხრა ბ. სვირელს „ჩემმა მეგობრებმა" არ ვიცი. რაც შემეხება მე, უნდა მოგახსენოთ, რომ არაფერი ამ გვარი არც სვირელისთვის და არც სხვა ვინმესთვის არ მითქვამს. ერთხელ მხოლოდ მახსოვს: გზაში შემომეყრა ბ. სვირელი და სხვათა შორის მითხრა: სექციის წევრთა შესავსებათ გვინდა მოვიწვიოთ რამდენიმე მუშა და ვის გვირჩევ შენაო. მე შევპირდი, რომ მოვიკითხავ და სიამოვნებით დავეხმარები მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევაც მივუთითე ერთ ნაცნობზე. ეს იყო და ეს. სექციის აზრი იყო მუშების მოწვევა თუ კერძოთ ბ. სვირელის არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ჩემ მიერ დასახელებული პირი არ მიუწვევიათ. ეს იყო კერძო ლაპარაკი. ჩემსა და სვირელს შორის, ისიც შემთხვევითი, სხვათა შორის. სექციის შემადგენლობის უვარგისობის გამო, მისი (სექციის) შევსების შესახებ მე არავითარი წინადადება არ მიმიცია ბ. სვირელისათვის და არც შემეძლო მიმეცა. და ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მე მაშინ გარდა სვირელისა, არც ერთ სექციის წევრს არ ვიცნობდი, (არც ეხლა ვიცნობ ყველას). მაშასადამე, რომელიმე წევრის უვარგისობაზე ლაპარაკი ჩემის მხრით, მეტი რომ არა ვსთქვათ, უმართებულება იქნებოდა. მე არ ვიცი, მართლა სთქვა თუ არა ბ. სვირელმა ყოველივე ის, რასაც ამ შემთხვევის გამო ბ. ტოროშელიძე სწერს და თუ სთქვა—ეს ერთავათ ბ. სვირელის ფანტაზიას უნდა მიეწეროს.

გრ. ურატაძე.

—

ბ-ნო რედაქტორო! „მომავლის» № 57 მოთავსებული იყო წერილი სექციის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი, სადაც აღნიშნული იყო სექციის 25 ოქტომბრის სხდომის დადგენილება. იქვე არის ოთხი სექციის წევრის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ნათქვამია, ვითომ თავმჯდომარის წერილში აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეთანხმებოდეს სინამდვილეს. სექციამ 5 ნოემბრის სხდომაზე გამოარკვია, რომ თავმჯდომარის წერილში სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი 25 ოქტომბერს მიღებული რეზოლიუცია.

ხოლო იმავე სხდომაზე გამოირკვა, რომ შინაარსი ამ რეზოლიუციისა 25 ოქტომბერსავე იყო განმარტებული და ნათქვამი, რომ სიტყვა: „ამ თავითვე" არ ნიშნავს დღესვე სექციის დაშლას, რომ სექცია ჯერ არსებობს და არც „ახალი წრის" გამგეობა თხოულობს დღეს ასეთი რეზოლიუციის გამოტანას.

აქედან აშკარაა, რომ ოთხი წევრის წერილს შეიძლებოდა აზრათ ქონდა მხოლოდ ასეთი შინაარსი რეზოლიუციისა და ამით არის გამოწვეული მათი წერილიც.

5 ნოემბერს სხდომას დაესწრო სამი წევრი, რომელთაც აღნიშნულ წერილზე ხელი მოაწერეს: ბ.ბ. ჯაბაური, ვ. რაქვიაშვილი და დოლიძე.

სექციის თავმჯდომარე: მ. ღემურია.

სექციის წევრნი: გიორგი ჯაბაური, რაქვიაშვილი, სვ. სვირელი, თ. დოლიძე, ნ. გოცირიძე, მ. თუშმალოვი, ვ. ლაშქარაშვილი, ს. ტოროშელიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

კანტორა და სკლადი
**ი. ახოზაძისა**
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იშოვება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი"
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა"
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სანთელი 40 კ.

„კლაპოვინი" სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა" სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—13